საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-238
2015 წლის 16 ნოემბერი

ქ. თბილისი

ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლების შეტყობინების/ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის №336 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ,,ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლების შეტყობინების/ანგარიშგების წესი“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ნოდარ კერესელიძე**

ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლების შეტყობინების/ანგარიშგების წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ამ წესის მიზანია ქვეყანაში ვეტერინარული ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსადმი შეტყობის/ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება.

2. ეს წესი ადგენს ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლის (შემდგომში - მიმწოდებელი) მიერ ცხოველთა დაავადების აღმოჩენისას ან ეჭვის მიტანისას:

ა) შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალს;

ბ) სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისთვის შეტყობინების/ანგარიშგების მიწოდების წესს და ვადებს.

3. შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალი და შეტყობინების წესი შეიძლება შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის გამოიყენება ,,ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის №336 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3. მიმწოდებლებლის ვალდებულება

1. შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით (დანართი №1) განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენის ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „დაუყოვნებლივი“, ხოლო ეპიდაფეთქებისას კი ყველა დაავადებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევებში (კომუნიკაციის არარსებობა) არაუგვიანეს 24 საათისა, „ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლის დაუყოვნებელი შეტყობინების/ანგარიშგების ფორმის“ (დანართი №2) შესაბამისად (ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა მის ხელთ არსებული საშუალებებით: მობილური ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.

2. შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენის ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია ,,აგრეგირებული“ (შემაჯამებელი), მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურადნ „ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლის აგრეგირებული (შემაჯამებელი) ანგარიშგების ფორმის“ (დანართი №3) შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.

დანართი N1

შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალი

№	დაავადება	შეტყობინების ფორმა
1	ასკარიდოზი	აგრეგირებული
2	აუესკის დაავადება	დაუყოვნებლივი
3	ბრუცელოზი	დაუყოვნებლივი
4	დასავლეთ ნილოსის ცხელება	დაუყოვნებლივი
5	დემოდეკოზი	აგრეგირებული
6	ექინოკოკოზი	აგრეგირებული
7	ვეზიკულური სტომატიტი	დაუყოვნებლივი
8	თურქული	დაუყოვნებლივი
9	იაპონური ენცეფალიტი	დაუყოვნებლივი
10	ინფექციური ანაერობული ენტეროტოქსემია	აგრეგირებული
11	კოლიბაქტერიოზი	აგრეგირებული
12	კოქციდიოზი	აგრეგირებული
13	ლეპტოსპიროზი	დაუყოვნებლივი
14	ლისტერიოზი	დაუყოვნებლივი
15	მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი	დაუყოვნებლივი
16	პარატუბერკულოზი	აგრეგირებული
17	რიფტის ველის ცხელება	დაუყოვნებლივი
18	სალმონელოზი (გარდა ფრინველისა)	აგრეგირებული
19	ტეტანუსი	დაუყოვნებლივი
20	ტოქსოპლაზმოზი	აგრეგირებული
21	ტრიქინელოზი	დაუყოვნებლივი
22	ტრიქოფიტია	აგრეგირებული
23	ტულარემია	დაუყოვნებლივი
24	ქუ ცხელება	დაუყოვნებლივი

25	შმალენბერგის დაავადება	დაუყოვნებლივი
26	ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელება	დაუყოვნებლივი
27	ცოფი	დაუყოვნებლივი
28	ცხვრის კატარული ცხელება (ბლუთანგი)	დაუყოვნებლივი
29	ჯილეხი	დაუყოვნებლივი
30	ჰიდროპერიკარდიტი	დაუყოვნებლივი
31	მსხვილფეხა პირუტყვის ანაპლაზმოზი	აგრეგირებული
32	ავთვისებიანი შეშუპება	აგრეგირებული
33	ემკარი	აგრეგირებული
34	თეილერიოზი	აგრეგირებული
35	ინფექციური რინოტრაქეიტი/ ინფექციური ვულვოვაგინიტი	აგრეგირებული
36	მსხვილფეხა პირუტყვის კონტაგიოზური პლევროპნევმონია	დაუყოვნებლივი
37	მსხვილფეხა პირუტყვის ლეიკოზი	აგრეგირებული
38	მსხვილფეხა პირუტყვის ბაბეზიოზი	აგრეგირებული
39	მსხვილფეხა პირუტყვის კამპილობაქტერიოზი	აგრეგირებული
40	მსხვილფეხა პირუტყვის ტუბერკულოზი	დაუყოვნებლივი
41	მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათია	დაუყოვნებლივი
42	მსხვილფეხა პირუტყვის ყვავილი	დაუყოვნებლივი
43	მსხვილფეხა პირუტყვის ცისტიცერკოზი	აგრეგირებული
44	მსხილფეხა პირუტყვის ვირუსული დიარეა (ენტერიტი)	დაუყოვნებლივი
45	ნეკრობაქტერიოზი	აგრეგირებული
46	ნოდულარული დერმატიტი	დაუყოვნებლივი
47	ტრიპანოსომოზი	აგრეგირებული
48	ტრიქომონოზი	აგრეგირებული
49	ჰემორაგიული სეპტიცემია (პასტერელოზი)	აგრეგირებული
50	ბატკნის ანაერობული დიზენტერია	აგრეგირებული
51	ბრადზოტი	აგრეგირებული
52	თხის ართრიტი/ენცეფალიტი	დაუყოვნებლივი
53	თხის ინფექციური პლევროპნევმონია	დაუყოვნებლივი
54	ცხვრისა და თხის ინფექციური აგალაქტია	დაუყოვნებლივი
55	მაედი-ვისნა	დაუყოვნებლივი

56	სალმონელოზი (S. abortusovis)	აგრეგირებული
57	ცხვრის და თხის კონტაგიზური ექტიმა	დაუყოვნებლივი
58	ცხვრის და თხის ყვავილი	დაუყოვნებლივი
59	ცხვრის ენზოოტიური აბორტი	აგრეგირებული
60	ჩლიქის სიდამპლე	აგრეგირებული
61	ცხვრის სკრეპი	დაუყოვნებლივი
62	ცხვრის ნაირობული დაავადება (აფრიკული გასტროენტერიტი)	დაუყოვნებლივი
63	წვრილფეხა პირუტყვის ჭირი	დაუყოვნებლივი
64	დაგრილების დაავადება	დაუყოვნებლივი
65	ქოთაო	დაუყოვნებლივი
66	ცხენის აღმოსავლური ინფექციური ენცეფალომიელიტი	დაუყოვნებლივი
67	ცხენის გრიპი	დაუყოვნებლივი
68	ცხენის ვენესუელური ენცეფალომიელიტი	დაუყოვნებლივი
69	ცხენის ვირუსული ართრიტი	დაუყოვნებლივი
70	ცხენის ინფექციური ანემია	დაუყოვნებლივი
71	ცხენის ინფექციური მეტრიტი	დაუყოვნებლივი
72	ცხენის პიროპლაზმოზი	დაუყოვნებლივი
73	ცხენის რინოპნევმონია	დაუყოვნებლივი
74	ცხენის ყვავილი	დაუყოვნებლივი
75	ცხენის ჭირი	დაუყოვნებლივი
76	ნიპას ვირუსული ენცეფალიტი	დაუყოვნებლივი
77	ტრანსმისიული გასტროენტერიტი	აგრეგირებული
78	ღორის ატროფიული რინიტი	დაუყოვნებლივი
79	ღორის აფრიკული ცხელება	დაუყოვნებლივი
80	ღორის გრიპი	დაუყოვნებლივი
81	ღორის ვეზიკულური დაავადება	დაუყოვნებლივი
82	ღორის კლასიკური ჭირი	დაუყოვნებლივი
83	ღორის რეპროდუქტიულ-რესპირატორული სინდრომი	დაუყოვნებლივი
84	ღორის ცისტიცერკოზი	აგრეგირებული
85	ღორის წითელი ქარი	დაუყოვნებლივი
86	ინდაურების რინოტრაქეიტი	აგრეგირებული

87	იხვის ვირუსული ჰეპატიტი	აგრეგირებული
88	მარეკის დაავადება	დაუყოვნებლივი
89	პულოროზი	აგრეგირებული
90	ფრინველის ინფექციური ბრონქიტი	აგრეგირებული
91	ფრინველის ინფექციური ლარინგოტრაქეიტი	აგრეგირებული
92	ფრინველის ლეიკოზი	აგრეგირებული
93	ფრინველის მაღალპათოგენური გრიპი	დაუყოვნებლივი
94	ფრინველის მიკოპლაზმოზი	აგრეგირებული
95	ფრინველის ორნითოზი	დაუყოვნებლივი
96	ნიუკასლი	დაუყოვნებლივი
97	ფრინველის სალმონელოზი	აგრეგირებული
98	ფრინველის ტიფი	აგრეგირებული
99	ფრინველის ტუბერკულოზი	აგრეგირებული
100	ფრინველის ქლამიდიოზი	აგრეგირებული
101	ფრინველის ქოლერა	აგრეგირებული
102	ფრინველის ყვავილი	დაუყოვნებლივი
103	ქათმის ინფექციური ბურსიტი (გამბოროს დაავადება)	დაუყოვნებლივი
104	ბოცვრის ჰემორაგიული დაავადება	დაუყოვნებლივი
105	ბოცვრის გადამდები სურდო (ინფექციური რინიტი)	აგრეგირებული
106	ბოცვრის ინფექციური სტომატიტი	აგრეგირებული
107	მიქსომატოზი	დაუყოვნებლივი
108	ფუტკრის აკარაპიდოზი	აგრეგირებული
109	ფუტკრის ამერიკული სიდამპლე	დაუყოვნებლივი
110	ფუტკრის ასკოსფეროზი	აგრეგირებული
111	ფუტკრის ასპერგილოზი	აგრეგირებული
112	ფუტკრის ევროპული სიდამპლე	დაუყოვნებლივი
113	ფუტკრის ვაროატოზი	აგრეგირებული
114	ფუტკრის ნოზემატოზი	აგრეგირებული
115	ფუტკრის სეპტიცემია	აგრეგირებული
116	ბარტონელოზი (კატის ნაკაწრის დაავადება)	დაუყოვნებლივი
117	ხორცისმჭამელთა ჭირი	აგრეგირებული
118	ბრანქიომიკოზი	აგრეგირებული

119	გაზაფხულის ვირუსული ავადმყოფობა	აგრეგირებული
120	თევზის აერომონოზი (წითურა)	აგრეგირებული
121	ორაგულის ფურუნკულოზი	აგრეგირებული
122	საპროლეგნიოზი	აგრეგირებული
123	საცურაო ბუშტის ანთება	აგრეგირებული
124	სეპტიკური ფსევდომონოზი	აგრეგირებული
125	ცისარტყელისებური კალმახის ჰემორაგიული სეპტიცემია	აგრეგირებული
126	აქლემის ყვავილი	დაუყოვნებლივი
127	ლეიშმანიოზი	დაუყოვნებლივი
128	უცნობი ეტიოლოგიის (ეგზოტიკური) დაავადება	დაუყოვნებლივი
129	ცხოველთა მოწამვლის შემთხვევები	აგრეგირებული

დანართი №2

ვეტერინარული საქმიანობის მიმწოდებლის დაუყოვნებელი

შეტყობინების/ანგარიშგების ფორმა

დაავადებებზე ინფორმაციის მიწოდების თარიღი _ _ _ _ _ / _ _ _ _ _ 201_

დდ/თთ

სავარაუდო დიაგნოზ(ებ)ი 1. _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 2. _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 3. _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სახეობა	ამთვისებელი ცხოველის რაოდენობა	დაავადებული ცხოველის რაოდენობა	მკვდარი ცხოველის რაოდენობა (დაავადებულებს შორის)

შემთხვევის ადგილი _ _ _

დამატებითი ინფორმაცია _ _ _